ᲧᲕᲔᲚᲐᲤᲔᲠᲘ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ, ᲧᲕᲔᲚᲐᲤᲔᲠᲘ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲘᲡ ᲡᲐᲙᲔᲗᲘᲚᲓᲦᲔᲝᲓ!

ᲞᲠᲝᲚᲔᲢᲐᲠᲔᲑᲝ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲥᲕᲔᲧᲜᲘᲡᲐ, ᲨᲔᲔᲠᲗᲓᲘᲗ!

ᲙᲝᲛᲔᲜᲘᲡᲢᲘ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ, ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲗᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲝᲠ�გᲐᲜᲝ

КОМУНИСТИ— ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

4 ᲐᲒᲕᲘᲡᲢᲝ, ᲨᲐᲑᲐᲗᲘ 1973 ᲤᲐᲡᲘ 2 ᲙᲐᲞ.

ᲒᲐᲖᲔᲗᲘ ᲒᲐᲛᲝᲓᲘᲡ 1920 ᲬᲚᲘᲡ 3 ᲘᲕᲜᲘᲡᲘᲓᲐᲜ ● № 182 (15699)

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲙᲝᲛᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ X ᲙᲚᲔᲜᲣᲛᲘᲡ ᲒᲐᲓᲬᲧᲕᲔᲢᲘᲚᲔᲑᲐᲜᲘ — ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲐᲨᲘ!

ᲮᲣᲗᲬᲚᲔᲓᲘ ᲨᲔᲡᲠᲣᲚᲔᲑᲣᲚᲘᲐ

ᲑᲐᲥᲘᲜᲣᲚᲘ. (საკ. კორ.). ორჯონიკიძის სახელობის შახტის ორმა ნოვატორმა გამუვანმა შ. ბოჭორიშვილმა და კ. რობაქიძემ, რომლებიც მესამე საექსპლოატაციო უბანში სამთო-მოსამზადებელი გამონამუშევრების გაყვანაზე მუშაობენ, ამ დღეებში შეასრულეს პირადი ხუთწლიანი გეგმები და ნაკისრი სოციალისტური ვალდებულებანი. ხუთწლედის განვლილ ორნახევარ წელიწადში მათ გაიყვანეს 965 მეტრი საერთო სიგრძის სამთო გამონამუშევარი, ანუ იმდენი, რასაც პირადი ხუთწლიანი გეგმა ითვალისწინებდა. ასეთი წარმატებისათვის ჯერჯერობით ტიბულელ მეშახტეთა შორის არავის მოუღწევია.

შეჯიბრების ინიციატორებმა გადაწყვიტეს ახალი ტექნოლოგიის დანერგვითა და სამთო ტექნიკის რაციონალური გამოყენებით ხუთწლედის მეორე ნახევარში მომავალი ხუთწლედის დავალება შეასრულონ.

ᲒᲐᲠᲓᲐᲛᲐᲕᲐᲚᲘ ᲬᲘᲗᲔᲚᲘ ᲓᲠᲝᲨᲐ — ᲛᲔᲪᲮᲠᲔᲓ

სსრ კავშირის საშენ მასალათა მრეწველობის სამინისტროს კოლეგიამ და მშენებლობისა და საშენ მასალათა მრეწველობის მუშათა პროფკავშირის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმმა სრულიად საკავშირო სოციალისტური შეჯიბრების მეორე კვარტალის შედეგებისთვის საწარმოო გაერთიანება „საქარამადნეულს“ 1971 წლიდან მეცხრედ მიანიჭეს გარდამავალი წითელი დროშა.

გაერთიანებამ მასალების რეალიზაციის მეორე კვარტალის გეგმა 118,5 პროცენტით შეასრულა. პროდუქციის გამომუშავებამ ერთ მუშაზე შეადგინა 2.284 მანეთი საგეგმო 2.233 მანეთთან შედარებით.

გაერთიანება „საქარამადნეულის“ კოლექტივი როდი უკლებს აღებულ ტემპს. გაერთიანებამ 7 თვეში შეასრულა პროდუქციის რეალიზაციის 8 თვის გეგმა. სასაქონლო პროდუქციის გამოშვების გეგმა 266 ათასი მანეთის გადაჭარბებითაა განაღდებული.

გაერთიანების საწარმოთა შორის დაწინაურდა ჭიორხის ინერტული მასალების ქარხანა. (საქინფორმი).

ᲨᲔᲯᲘᲑᲠᲔᲑᲘᲡ ᲛᲝᲬᲘᲜᲐᲕᲔᲜᲘ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ სსრ ხორცისა და რძის მრეწველობის სამინისტროს კოლეგიამ და საქართველოს კავების მრეწველობის მუშათა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის პრეზიდიუმმა შეჯამეს სამინისტროს სამრეწველო საწარმოთა კოლექტივების 1973 წლის მეორე კვარტალის რესპუბლიკური სოციალისტური შეჯიბრების შედეგები. გარდამავალი წითელი დროშა და პირველი ფულადი პრემია მიენიჭათ რესპუბლიკის ხორცისა და რძის მრეწველობის სამინისტროს თელავის ხორცკომბინატის, თბილისის სარემონტო-მექანიკური კომბინატისა და ავტოსატრანსპორტო ბაზის კოლექტივებს.

რესპუბლიკური სოციალისტური შეჯიბრების გამარჯვებულთა შორის არიან ბოგდანოვკისა და წალკის ყველისა და კარაქის სათაო ქარხნები. (საქინფორმი).

სკკპ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროო, რომელმაც განიხილა სოციალისტური ქვეყნების კომუნისტური და მუშათა პარტიების ხელმძღვანელთა ყირიმის ამა წლის 30-31 ივლისის გამართული მეგობრული შეხვედრის შედეგები, მაღალ შეფასებას აძლევს მის მნიშვნელობას სოციალისტური თანამეგობრობის პოზიციების ყოველმხრივი განმტკიცებისათვის, მომმე პარტიების მზარდი ერთიანობისათვის, სოციალისტური სახელმწიფოების თანამშრომლობისა და საგარეო პოლიტიკის კოორდინაციის შემდგომი გაღვივთარებისათვის, მთლიანად იწონებს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის დელეგაციის საქმიანობას სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ამხ. ლ. ი. ბრეჟნევის მეთაურობით.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროო განუხრელად ხელმძღვანელობს იმით, რომ სოციალისტური თანამეგობრობის ქვეყნების სოლიდარობა და ერთიანობა მშვიდობისა და საერთაშორისო უშიშროების განმტკიცების, სკკპ XXIV ყრილობის სამშვიდობო პროგრამაში, სხვა მომმე პარტიების ყრილობათა გადაწყვეტილებებში, ვარშავის ხელშეკრულების ორგანიზაციის პოლიტიკური საკონსულტაციო კომიტეტის განცხადებებში, კომუნისტური და მუშათა პარტიების წარმომადგენლთა 1969 წლის საერთაშორისო თათბირის დოკუმენტებში დასახული მიზნების განხორციელების უმნიშვნელოვანესი ფაქტორია.

როგორც ყირიმის შეხვედრის კომუნიკეშია ხაზგასმული, ახლა დიდი მნიშვნელობა აქვს განმტკიცდეს პოზიტიური ძვრები საერთაშორისო ასპარეზზე, რეალური შინაარსი მიეცეს დადებულ შეთანხმებებსა და ხელშეკრულებებს, მომზადდეს ნიადაგი ახალი ღონისძიებებისათვის მტკიცე მშვიდობის გზაზე. ამას ხელს შეუწყობს სრულიად ევროპის თათბირის მუშაობის წარმატებით დამთავრება, პოლიტიკური დაძაბულობის შენელების შესება სამხედრო დაძაბულობის შენელების ღონისძიებებით, იმპერიალისტური აგრესიით გამოწვეული კონფლიქტების მოწესრიგება. სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროო ხაზგასმით აღნიშნავს საბჭოთა კავშირის გადაწყვეტილებას, რომ მომმე ქვეყნებთან ერთად კონსტრუქციული წვლილი შეიტანოს აქტუალური საერთაშორისო პრობლემების მოწესრიგებაში.

ყირიმის შეხვედრის შედეგები ცხადყოფენ, რომ სოციალისტური სახელმწიფოების შეთანხმებული საგარეო პოლიტიკის უცვლელი საფუძველია მშვიდობისა და საერთაშორისო უშიშროებისათვის ბრძოლის ორგანული შეხამება ყველა ხალხის თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის, მათ მიერ საკუთარი ბედის გამგებლობის წმიდათაწმიდა უფლებისათვის ბრძოლასთან. თანამედროვე საერთაშორისო პირობებში კვლავინდებურად საჭიროა სიფხიზლე რეაქციული ძალების ხრიკებისადმი, რომლებიც ცდილობენ ხელი შეუშალონ მსოფლიო ასპარეზზე პოზიტიური ძვრების დამკვიდრებას. სოციალისტური სახელმწიფოების საგარეო პოლიტიკა პრინციპული კლასობრივი პოლიტიკაა.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროო დიდ მნიშვნელობას ანიჭებს იმას, რომ ყირიმის შეხვედრაზე კვლავ გამოვლინდა სოციალისტური სახელმწიფოების კომუნისტური და მუშათა პარტიების გადაწყვეტილება სისტემატურად შეათანხმონ თავიანთი მოქმედება სხვა მომმე პარტიების საქმიანობასთან, განამტკიცონ მსოფლიო კომუნისტური მოძრაობის შეკავშირება მარქსიზმ-ლენინიზმისა და პროლეტარული ინტერნაციონალიზმის პრინციპების საფუძველზე. საერთაშორისო ასპარეზზე მიმდინარე უმნიშვნელოვანესი პროცესები, ანტიკომუნიზმის, ბურჟუაზიული იდეოლოგიის წინააღმდეგ, აგრეთვე მეცნიერული კომუნიზმისადმი მტრულად განწყობილი „ემარცხენე“ და მემარჯვენე ოპორტუნისტული მიმდინარეობების წინააღმდეგ ბრძოლის ამოცანები სულ უფრო საჭიროს ხდის, რომ კვლავ გაძლიერდეს კომპარტიების ურთიერთმოქმედება, კოლექტიურად გააანალიზონ თანამედროვეობის აქტუალური თეორიული და პოლიტიკური პრობლემები.

ყირიმის ახალმა შეხვედრამ შესაძლებელი გახადა ფართოდ გაეზიარებინათ ერთმანეთისათვის ინფორმაცია სოციალისტური და კომუნისტური მშენებლობის მიმდინარეობის შესახებ, ერთობლივად დაესახათ სოციალისტური სახელმწიფოების ყველა დიდმნიშვნელოვან დარგში ყოველმხრივი თანამშრომლობის შემდგომი განვითარების ძირითადი მიმართულებანი. სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროო გამოთქვამს ღრმა რწმენას, რომ ეს თანამშრომლობა საჭირო წანამძღვრებს უქმნის სოციალისტური ქვეყნების ახალ მიღწევებს, იმ ამოცანების წარმატებით განხორციელებას, რომლებიც დაკავშირებულია საზოგადოებრივი წარმოების ეფექტიანობის გადიდებასთან, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესისა და მეურნეობის სოციალისტური სისტემის უპირატესობათა შერწყმასთან, მშრომელთა მატერიალური კეთილდღეობის განუხრელ გაუმჯობესებასთან.

ყირიმის შეხვედრის დროს მონაწილეთა მიერ გამოთქმული მზადყოფნა გადადგან სოციალისტური სახელმწიფოების პოლიტიკური, ეკონომიური და იდეოლოგიური თანამშრომლობის განვითარების შემდგომი ნაბიჯები, ამ მიმართულებით დასახული ღონისძიებანი, მათ შორის ეკონომიური ურთიერთდახმარების საბჭოს საქმიანობის სრულყოფის საკითხები, კიდევ უფრო განმტკიცებს სოციალიზმის საერთაშორისო პოზიციებს.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროო ხაზგასმით აღნიშნავს, რომ მომმე ქვეყნებთან ყოველმხრივი თანამშრომლობის განვითარება საბჭოთა სახელმწიფოს საგარეო-პოლიტიკური საქმიანობის უმნიშვნელოვანესი მიმართულებაა. მარქსისტულ-ლენინურ კომუნისტურ და მუშათა პარტიებთან ერთად საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია კვლავაც გაამრავლებს თავის მეცადინეობას, რომელიც მიზნად ისახავს სოციალიზმის ქვეყნების ინტერნაციონალური სოლიდარობის განმტკიცებას, მათ მჭიდრო ურთიერთმოქმედებას სოციალისტურ და კომუნისტურ მშენებლობაში, მტკიცე მშვიდობისათვის ბრძოლაში.

დიდად აფასებს რა ყირიმის შეხვედრის შედეგებს, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროო განსაკუთრებული კმაყოფილებით აღნიშნავს ამ შეხვედრაზე გამოვლინილ ურყევ ნებას განვითარდეს სოციალისტური სახელმწიფოების ყოველმხრივი თანამშრომლობა და შეთანხმებულად იმოქმედონ საერთაშორისო ასპარეზზე სოციალიზმისა და მშვიდობის განმტკიცების საქმის ინტერესებისათვის. ამ შეხვედრამ კვლავ გვიჩვენა, რომ მომმე პარტიების ხელმძღვანელთა უშუალო ამხანაგური კონტაქტები ხელს უწყობს სოციალისტური ქვეყნების კომუნისტური და მუშათა პარტიების ერთიანობის განმტკიცებას.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროომ მიიღო დადგენილება, რომელშიც განსაზღვრულია პრაქტიკული ღონისძიებანი ყირიმის შეხვედრის დასკვნების რეალიზაციისათვის.

ᲕᲐᲭᲠᲝᲒᲐ—ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲘᲡ ᲙᲔᲗᲘᲚᲓᲦᲔᲝᲑᲘᲡ ᲡᲐᲛᲡᲐᲮᲣᲠᲨᲘ

ᲫᲕᲘᲠᲤᲐᲡᲝ ᲛᲙᲘᲗᲮᲕᲔᲚᲔᲑᲝ! საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ახლახან დამთავრებული X პლენუმი ჩატარდა საბრძოლო დევიზით: „ᲧᲕᲔᲚᲐᲤᲔᲠᲘ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ, ᲧᲕᲔᲚᲐᲤᲔᲠᲘ ᲮᲐᲚᲮᲘᲡ ᲙᲔᲗᲘᲚᲓᲦᲔᲝᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ!“

უკანასკნელ პერიოდში საქართველოს კპ ცენტრალურმა კომიტეტმა ბევრი მნიშვნელოვანი ღონისძიება მიიღო ამ კეთილშობილური ამოცანის განსახორციელებლად, კერძოდ სანიმუშო საზოგადოებრივი წესრიგისათვის, საბჭოთა ვაჭრობის, ჩვენი ხალხის მოთხოვნილებათა დონეზე დაყენებისათვის, ვაჭრობის დარგში არსებითი ნაკლოვანებების, ხარვეზებისა და უხეში დარღვევების გამოსასწორებლად.

სხვა პრაქტიკულ ნაბიჯებთან ერთად საყურადღებოა გავიხსენოთ საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებები ცეკავშირის სისტემაში საბჭოთა ვაჭრობის წესების უხეში დარღვევების, წამატებების, გაფლანგვისა და სხვა ბოროტმოქმედებათა შესახებ, აგრეთვე საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტროს მუშაობაში სერიოზულ ნაკლოვანებათა შესახებ.

ამ დადგენილებათა პრაქტიკულ შედეგს ჩვენი ხალხი ყოველდღიურად გრძნობს. მაგრამ შეცდომა იქნებოდა ოდნავადაც შეგვეხუტებინა უურადღება საბჭოთა ვაჭრობის განვითარებისადმი, ამ დარგში ჯერ კიდევ არსებული მეტად სერიოზული ნაკლოვანებებისადმი. ამაზე მოგვითხრობენ ჩვენი გაზეთის მესამე გვერდზე დაბეჭდილი წერილები.

ამიტომ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი, ჩვენი პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციების უურადღებას კვლავ მიაპყრობს ჩვენი მშრომელების კეთილდღეობის გაუმჯობესების საკითხებს, პრობლემებს.

სწორედ ამ მიზანს ემსახურება საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის თათხნობით დღეს რესპუბლიკაში მოწვეული ზონალური თათბირები, რომლებიც იმსჯელებენ ვაჭრობის მდგომარეობისა და მისი გაუმჯობესების ღონისძიებებზე.

ᲧᲕᲔᲚᲐᲤᲔᲠᲘ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ, ᲧᲕᲔᲚᲐᲤᲔᲠᲘ ᲮᲐᲚᲮᲘᲡ ᲙᲔᲗᲘᲚᲓᲦᲔᲝᲑᲘᲡ!

ᲛᲔᲩᲐᲘᲔᲗᲐ ᲡᲘᲢᲧᲕᲐ ᲓᲐ ᲡᲐᲥᲛᲔ

ᲔᲡ ᲓᲦᲔᲔᲑᲘ ᲩᲐᲘᲡ ᲙᲚᲐᲜᲢᲐᲪᲘᲔᲑᲨᲘ

ᲘᲕᲚᲘᲡᲨᲘ დაძაბულად იშრომეს ჩვენი რესპუბლიკის მეჩაიეებმა. მათ მტკიცე საფუძველი ჩაუყარეს ნაკისრ ვალდებულებათა შესრულებას. დაძლიეს ჭირვეული ამინდი და გარკვეულ წარმატებებს მიაღწიეს. ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს 30 ივლისის ცნობებით სულ მოკრეფილია 208.762 ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი, რაც წლიური გეგმა-ვალდებულების 73 პროცენტს შეადგენს, შარშან ამავე პერიოდში მოკრეფილი იყო 203.832 ტონა ჩაის ფოთოლი.

მეჩაიეებმა უზრუნველყვეს ივლისის დავალების გადაჭარბებით განაღდება. გეგმა-ვალდებულება შესრულებულია 121 პროცენტით. განსაკუთრებით დაწინაურდნენ აუხაზეთის მეჩაიეები, რომლებმაც სულ მოკრეფეს 40.099 ტონა „მწვანე ოქრო“. ეს წლიური დავალების 76 პროცენტს უდრის. მათ შარშანდელ დონეს 6.800 ტონით გადაამეტეს. ივლისში უნდა მოკრეფილიყო 11.189 ტონა, მოკრეფეს 13.874 ტონა.

ᲒᲐᲚᲘᲡ ᲠᲐᲘᲝᲜᲘᲡ ᲛᲔᲩᲐᲘᲔᲗᲐ ᲨᲔᲛᲐᲠᲗᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲞᲐᲥᲢᲘᲡ ᲛᲔᲢᲧᲕᲚᲔᲑᲘ. მათ მოკრეფეს 20.820 ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი. ამით, წლიური გეგმა-ვალდებულება შესრულეს 74 პროცენტით, ხოლო ივლისისა — 117 პროცენტით. ᲝᲩᲐᲛᲩᲘᲠᲔᲚᲘ მეჩაიეებს წლიური დავალება შესრულებული აქვთ 80 პროცენტით, ივლისისა — 136 პროცენტით. აფხაზეთის მეჩაიეები ვალდებულების გადამეტებით აკისრულობენ 2.000 ტონის მოკრეფას.

შარშანდელ დონეს-ვაუსწრეს ᲐᲠᲐᲠᲔᲚᲗᲐ მეჩაიეებმაც, რომლებსაც ივნისსა და ივლისის პირველ ნახევარში ჩამორჩენა ჰქონდათ. სულ მოკრეფეს 32.529 ტონა ჩაის ფოთოლი, რაც წლიური დავალების 74 პროცენტს შეადგენს, ხოლო ივლისის დავალება 128 პროცენტია გაანაღდეს.

ᲛᲐᲮᲐᲠᲯᲝᲚᲗᲐ მეჩაიეებმა. რომლებმაც წეოს სამშობლოს უნდა მისცენ 50.700 ტონა, მოკრიფეს 36.300 ტონა ჩაის ფოთოლი. ეს წლიური დავალების 72 პროცენტია. მათ ივლისში კრეფის დავალება 115 პროცენტით გაანაღდეს, მაგრამ საერთოდ შარშანდელ დონეს ჯერ კიდევ ვერ გაუსწრეს, ახლა უფრო იმატა კრეფის ტემპმა და მახარაძელებიც სიტყვას საქმედ აქცევენ.

ᲐᲡᲔᲒᲕᲔ ᲯᲔᲠ ᲙᲘᲓᲔᲒ ᲕᲔᲠ ᲛᲘᲐᲦᲬᲘᲡ შარშანდელ დონეს ᲬᲣᲓᲘᲓᲘᲔᲚᲗᲐ მეჩაიეებმა. სულ მოკრეფილი აქვთ 26.112 ტონა ჩაის ფოთოლი. ეს წლიური დავალების 69 პროცენტია. მართალია, ᲬᲣᲓᲘᲓᲘᲔᲚᲗᲐ კარგად იშრომეს ივლისის მეორე ნახევარში და თვის დავალებაც გადაჭარბებით შეასრულეს, მაგრამ უფრო მეტია გასაკეთებელი იმისათვის, რომ ნაკისრი ვალდებულება წარმატებით შესრულდეს. ამისათვის დაირაზმნენ ᲬᲣᲓᲘᲓᲘᲔᲚᲗᲐ და კრეფის ტემპიც ყოველდღიურად ძლიერდება.

რა მდგომარეობაა მეჩაიეობის სხვა რაიონებში? ᲧᲕᲔᲚᲒᲐᲜ ᲘᲒᲠᲫᲜᲝᲑᲐᲜᲘᲡ ერთსულოვანი შემართება დადებული პირობის შესასრულებლად. ᲕᲐᲚᲔᲜᲯᲘᲡᲘᲡ რაიონმა ივლისის დავალება დიდი გადაჭარბებით შეასრულა, მაგრამ საერთოდ მაინც ჩამორჩენა, წლიური დავალება შესრულებულია 68 პროცენტით.

ჩაის კრეფის ივლისის დავალებები დიდი გადაჭარბებით შეასრულეს ᲚᲐᲜᲩᲮᲣᲗᲘᲡ, ᲮᲔᲠᲗᲕᲘᲡᲘᲡ, ᲩᲮᲝᲠᲝᲬᲧᲣᲡ, ᲩᲮᲐᲢᲐᲣᲠᲘᲡ, ᲧᲐᲚᲐᲪᲘᲡ, ᲧᲣᲚᲣᲜᲘᲡ, ᲮᲝᲑᲘᲡ რაიონებისა და ᲢᲧᲘᲑᲣᲚᲘᲡ მეჩაიეებმა. მაგრამ მათ წლიური დავალების შესრულებისათვის ყოველი დღე, საათიც კი სრული დატვირთვით უნდა გამოიყენონ. ᲪᲮᲐᲙᲐᲘᲐᲜᲗ მეჩაიეებს, რომლებსაც წლიური დავალება შესრულებული აქვთ 79 პროცენტით, გადაწყვეტილი აქვთ დავალება ვადამდე ერთი თვით ადრე შეასრულონ.

ჩაის კრეფა გაძლიერდა ᲩᲐᲘᲡ და ᲡᲣᲑᲢᲠᲝᲞᲘᲙᲣᲚᲘ კულტურების ტრესტის საბჭოთა მეურნეობებში. წლიური დავალება შესრულებულია 76 პროცენტით, ივლისისა — 120 პროცენტით.

ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲘᲡ ჩაის მწვანე პლანტაციებში დაძაბული შრომა მიმდინარეობს. მეჩაიეები ᲧᲕᲔᲚᲐ ᲓᲦᲔᲡ ᲮᲛᲐᲠᲝᲑᲔᲜ, რომ ᲮᲣᲗᲬᲚᲔᲓᲘᲡ მესამე, გადამწყვეტი წელი სარეკორდო მოსავლით აღნიშნონ და სამშობლოს მისცენ 285 ათასი ტონა ხარისხოვანი ფოთოლი.

მრავალ მეურნეობაში გაშლილ სოციალისტურ შეჯიბრებას სათავეში უდგას ახალგაზრდობა. ᲮᲝᲑᲘᲡ რაიონის ᲫᲕᲔᲚᲘ ᲮᲝᲑᲣᲚᲘᲡ ჩაის საბჭოთა მეურნეობაში თავდადებით შრომობენ კომკავშირელები დოდო როგავა, მანანა ახალაია და მერი ლატარია (ხუთათზე ისინი აღებულია არიან მარცხნიდან მარჯვნივ), გოგონები ყოველდღიურად 60-70 კილოგრამ ჩაის ფოთოლს კრეფენ. ისინი ტონს აძლევენ კოლმეურნეობის მეჩაიეთა შეჯიბრებას.

Უ. ᲜᲐᲜᲘᲙᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡ ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა)

ᲘᲝᲡᲔᲑ ᲜᲝᲜᲔᲨᲕᲘᲚᲘ

სხვა შუქ-მაღლით ბრიალებს...

სხვა შუქ-მაღლით ბრიალებს
რესპუბლიკა ჩემი
და მთებს მხარბეჭიანებს
მზის ღიმილი შვენით.

დე გაბრწყინდეს მზესავით
მშობლიური მხარე.
გვწამდეს ის, რაც დღეს არის,
რაც იქნება ხვალე.

გვწამდეს მისი სიმაღლე,
უკვდავება მისი.
ამაოდ არ დაღვრილა
მამა-პაპის სისხლი!..

სისხლი თავდადებულთა
ჩვენს ძარღვებში წვეთავს...
გვიყვარდეს საქართველო,
გვიყვარდეს საქართველო,
გვიყვარდეს საქართველო
სიცოცხლეზე მეტად!..

ვინც ხმალი მოიქნია,
ვაგლახ, ჩვენ არ აგვცდა...
მაგრამ ვინ თქვა, ქართული
ჩვენი მიწა-წყალი
დაილია, გაცვდა,
ვით ბრძოლაში ხმალი?..
დღეს სხვა სიო უბერავს,
მზით ავივსეთ უბე,
ირგვლივ შრომის სუფევა,
სხვა სიახლე სუფევს...

დას დობილი ამშვენებს
და ძმობილი ძმობილს.

მგობრობით აშენდა,
რაც დაინგრა მტრობით.

მხარი მივცეთ ერთმანეთს
(ძმათა შეჯიბრს რა სჯობს)...
საქმეებთან შებმულს
გამარჯეს,
მარჯვეს,
ერთგულს
ყველას გაუმარჯოს!
გაუმარჯოს, წინსვლის გზას
ვინც შრომაში ხედავს.
ეს მას

სავსე ფიალას
აწვდის ქართველის დედა —
მას, ვინც ფეხი აუწყო
ახალ ტემპს და ხალისს,
მას, ვინც საქმით გვაუწყა
გამარჯვება ხვალის.

შორს დუნე და გულცივი,
უსერხემლო, უფსო...
ჩანგი რევოლუციის
ახალ გმირებს უხმობს.

სისხლი თავდადებულთა
ჩვენს ძარღვებში წვეთავს...
მათი კაცურკაცობა
გვადგას ნათლის სვეტად...

ჩვენ საქმით ვასახელოთ
მშობელი საქართველო,
ახალი საქართველო,
მეტად,
უფრო მეტად!

ᲓᲦᲔᲡᲐᲡᲬᲐᲣᲚᲝᲒᲔᲜ ᲤᲝᲚᲐᲓᲘᲡ ᲛᲐᲒᲘᲡᲢᲠᲐᲚᲔᲑᲘᲡ ᲛᲨᲠᲝᲛᲔᲚᲔᲑᲘ

8 ᲐᲒᲕᲘᲡᲢᲝᲡ რკინიგზელის სახლში გაიმართა საზეიმო კრება, რომელიც მიეძღვნა რკინიგზელის სრულიად საკავშირო დღეს. აქ შეიკრიბნენ ამიერკავკასიის რკინიგზის სამმართველოს, თბილისის რკინიგზის კვანძის მუშაკები, ქალაქის საზოგადოებრიობის წარმომადგენლები.

კრების პრეზიდიუმში იყვნენ ამხანაგები: ზ. ა. პატარიძე, პ. გ. გიოლაშვილი, ო. ე. ჩერქეზია, თ. ი. მოსაშვილი, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის განყოფილების გამგე ბ. ზ. ბარსუკოვი, თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე თ. ბ. ჯანელიძე, საქართველოს კომპარტიის თბილისის კომიტეტის მეორე მდივანი ბ. ნ. გრიგალაშვილი.

საზეიმო კრება გახსნა ამიერკავკასიის ოქტომბრის რეკოლუციის ორდენოსანი მგზავრალის რკინიგზელთა პროფკავშირის საგაო კომიტეტის თავმჯდომარემ ა. ი. გობიანიძემ.

მოხსენება რკინიგზელის სრულიად საკავშირო დღის შესახებ გააკეთა ამიერკავკასიის რკინიგზის უფროსმა გ. ი. ქადაგიძემ.

დასასრულს გაიმართა კონცერტი. (საქინფორმი).

Ტ. ᲥᲘᲕᲙᲝᲕᲘ ᲐᲖᲔᲠᲑᲐᲘᲯᲐᲜᲨᲘ

ᲑᲐᲙᲣ, 3 ᲐᲒᲕᲘᲡᲢᲝ. (ᲡᲐᲙᲓᲔᲡᲘ). ბულგარეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი, ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარე ტოდორ ჟივკოვი, რომელიც აზერბაიჯანში სტუმრად იმყოფება, დღეს შეხვდა ბაქოელ მენავთობეებს პესხანის კუნძულზე, კასპიის ზღვის დიდი ნავთობის მომპოვებელი რაიონის ცენტრში.

აზერბაიჯანელი მენავთობენი თანამშრომლობენ ბულგარელ კოლეგებთან შავი ზღვის ნავთობის ძიებაში, იხმარებოდნენ მათ შაბლის მახლობლად პირველი ესტაკადის აშენებაში. ორი ქვეყნის მენავთობეთა თანამშრომლობის შემდგომი განმტკიცების ნიშნად ნავთობის, ქიმიური და გაზის მრეწველობის მუშათა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის, „აზნავთობისა“ და „კასპზღვანავთობის“ გაერთიანებების გადაწყვეტილებით ტოდორ ჟივკოვს მიენიჭა აზერბაიჯანის საპატიო მენავთობის წოდება და გადაეცა მრეწველის ფორმა — მუზარადი და ბრეზენტის ტანსაცმელი.

ტოდორ ჟივკოვმა მხურვალე მადლობა გადაიხადა საპატიო წოდებისათვის და თქვა, რომ აზერბაიჯანელთა მაგალითმა იგი საქმით დაარწმუნა, თუ როგორ მუშაობენ შეხმატკბილებულ ოჯახად საბჭოთა კავშირში სხვადასხვა ეროვნების წარმომადგენლები საერთო მიზნისათვის — კომუნიზმის აშენებისათვის.

შეხვედრაზე გამოვიდა აზერბაიჯანის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი გ. ა. ალიევი.

ნაშუადღევს ტოდორ ჟივკოვი კიროვაბადში გაემგზავრა.

Ლ. Ი. ᲑᲠᲔᲟᲜᲔᲕᲘ ᲨᲔᲮᲕᲓᲐ Გ. ᲰᲣᲡᲐᲙᲡ

2 ᲐᲒᲕᲘᲡᲢᲝᲡ ყირიმში სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი ლ. ი. ბრეჟნევი შეხვდა ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივანს გ. ჰუსაკს, რომელიც აქ დასასვენებლად არის ჩამოსული.

ორი მარტის ხელმძღვანელებმა განიხილეს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიის ძმური ურთიერთობის, საბჭოთა კავშირ-ჩეხოსლოვაკიის ყოველმხრივი კავშირურთიერთობის შემდგომი გაღრმავების საკითხები.

ლ. ი. ბრეჟნევისა და გ. ჰუსაკის შეხვედრამ, რომელმაც მეგობრულ, გულთბილ ატმოსფეროში ჩაიარა, კვლავ დადასტურა შეხედულებათა ერთიანობა ყველა განსახილველ საკითხზე.

ᲐᲛᲮ. ᲚᲔ ᲖᲣᲐᲜᲘ ᲧᲘᲠᲘᲛᲘᲡᲨᲘ ᲩᲐᲕᲘᲓᲐ

ᲐᲛᲐ ᲬᲚᲘᲡ 3 ᲐᲒᲕᲘᲡᲢᲝᲡ ვიეტნამის მშრომელთა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ამხ. ლე ზუანი, რომელიც საბჭოთა კავშირში იმყოფება, დასასვენებლად ყირიმში ჩავიდა. (საკდესი).

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის X პლენუმის გადაწყვეტილებათა პასუხად

დამკვრელური კომუნისტური შრომა ჩვენი ეროვნული ეკონომიკის განმტკიცების ყველაზე ნაცადი გზაა

1. დიდი ქიმიის ფლაგმანის ახალი გეგმები

ჩვენი რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის მუშაკთა წინაშე დასახულია დიდმნიშვნელოვანი ამოცანა შექმნან კვების პროდუქტების სიუხვე. მომავალ წლებში ბევრად გაიზრდება საქარცალე და ტექნიკური კულტურების, ბოსტნეულის, ხილის, შაქრის ჭარხლის, საკვების, მეცხოველეობის ძირითადი პროდუქტების: ხორცის, რძის, მატყლისა და სხვა პროდუქტების წარმოება. სიუხვისათვის ამ ბრძოლაში ქიმიამ მნიშვნელოვანი როლი უნდა შეასრულოს.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის X პლენუმზე აღინიშნა, რომ რუსთავის ქიმიური კომბინატის კოლექტივმა ალმოფხვრა ჩამორჩენა და ინაზღაურებს დაკარგულს.

მაგრამ ამავე პლენუმზე აღინიშნა, რომ მინერალური სასუქების წარმოების მოცულობა გასულ წელს 1970 წელთან შედარებით გაიზარდა მხოლოდ 19,9 პროცენტით, მაშინ როცა სკკპ XXIV ყრილობის დირექტივებით მინერალური სასუქების წარმოება 2,3-ჯერ უნდა გადიდდეს.

პლენუმის მუშაობის დამთავრების შემდეგ რუსთაველმა ქიმიკოსებმა განიხილეს, რა რეზერვები უნდა გამოძიებნონ, რათა უზრუნველყონ ქიმიური პროდუქტების წარმოების შემდგომი ზრდა, ამასთან მინდვრების მოსავლიანობისა და ფერმების პროდუქტიულობის ალმაფლობა, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ეკონომიკის განმტკიცება.

გვესაუბრება ქიმიური კომბინატის დირექტორი გ. გოგოლაძე.

— ჯერ კიდევ პლენუმის წინა დღეებში, — თქვა გ. გოგოლაძემ, — ჩვენმა მოწინავეებმა, წარმოების ო

ᲐᲠᲐᲛᲘ ᲚᲣᲙᲛᲐ

ᩩᲕᲔᲜᲘ ᲮᲐᲚᲮᲘᲡ ᲐᲖᲠᲘ, ᲛᲘᲡᲘ ᲤᲘᲥᲠᲔᲑᲘ

ᲒᲐᲖᲗᲗ „კომუნისტის“ მკითხველები კარგად იცნობენ იმ უაღრესად მნიშვნელოვან ღონისძიებებს, რომლებიც საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა განახორციელა რესპუბლიკის ეკონომიის მეორე სისტემის გაჯანსაღების, მისი მუშაობის გაუმჯობესებისათვის. საბალანსო მეურნეობის ამ დარგის და კერძოდ საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტროს საქმიანობაში გამოვლინდა უაღრესად სერიოზული დარღვევები და ნაკლოვანებანი. მთლიანად რესპუბლიკაში ვაჭრობის მდგომარეობისა და უფროსნარეს ყოველსა ვაჭრობის სამინისტროს მუშაობის ანალიზმა ცხადყო, რომ საბალანსო მეურნეობის ამ დარგის საქმიანობა სრულებითაც არ შეესაბამება XXIV, ყრილობის მოთხოვნებს.

როცა კითხულობთ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის დადგენილებას, რომელშიც ობიექტურად, პრინციპულად გამოვლინებულია საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტროს მთელ სისტემაში საბჭოთა ვაჭრობის წესების უხეში დარღვევები და დამახინჯებანი, საბჭოეთის ეროვნის დატაცებანი-გაფლანგვების შეუწყნარებელი ფაქტები, გამოძალვის, საბჭოთა კანონების ულაღლეველყოფის შემთხვევები, ამკარა ხდება, რომ სამინისტროს მესვეურნი პირად კეთილდეგობაზე უფრო მეტს ფიქრობდნენ და ზრუნავდნენ, ვიდრე დაკისრებული საქმის შესრულებაზე.

ახლა უკვე ყველა ჩვენგანისათვის ნათელი და გასაგებია, თუ რატომ ხდებოდა ვაჭრობაში ასეთი დარღვევები და დამახინჯებები. კომუნისტები, კომკავშირელები, მშრომელები ანალიზს უკეთებენ ამ დარღვევების, ნაკლოვანებების, მახინჯი მოვლენების წარმოშობის მიზეზებს და თავიანთ მოსაზრებებს უზიარებენ პარტიულ, საბჭოთა ორგანოებს, ვაზეთების რედაქციებს, მსჯელობენ კრებებზე, თათბირებზე...

ამ საერთო მსჯელობებსა და მკითხველთა გამოხმაურებებში მკაფიოდ და ნათლად იკრძნობა საერთო-სახალხო საქმისადმი მათი სერიოზული მიდგომა, ერთსულოვანი მხარდაჭერა, მრწორები იმ ღონისძიებებისა, რომლებიც განხორციელდა რესპუბლიკის ვაჭრობის მთელი სისტემის მუშაობის გაუმჯობესებისა და გაჯანსაღებისათვის, ხალხის კეთილდღეობისათვის.

ამ საკითხებზე რომ მსჯელობენ, ადამიანები საუბებით სწორ შეფასებას აძლევენ გატარებულ ღონისძიებებს იმ თვალსაზრისით, რომ მომავალში არ გამეორდეს ასეთი სამახინჯე და უპატიოსნობა. ამასთან ისინი ყურადღებას განსაკუთრებით ამახვილებენ დამნაშავეთა პასუხისმგებლობაზე.

საილუსტრაციოდ მოვიყვანთ მხოლოდ ერთ წერილს, გაზეთ „კომუნისტის“ მკითხველი გ. მდინარაძე გვწერს: „წავიკითხე საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს დადგენილება ვაჭრობის სამინისტროს მუშაობის თაობაზე. მართალი გითხრათ, ეს დადგენილება გამოხატავს ჩემი და ჩემისთანა უბრალო ადამიანების საერთო აზრს. რა დასამალავია, გაწყალებულია გული ვაჭრობის ზოგიერთი მუშაკის უსინდისო დამოკიდებულებით. გვიტაფებენ წონაში, ზომაში, თუ ცოტაოდნაი სახეირო საქონელია, ყველაფერი დახლქვეშ იყიდება. ეს დადგენილება რომ წავიკითხე, გადავწყვიტე მომეწერა თქვენთვის, ალარ მეკვირა, თუ რატომ და ვისი წყალობით იყვნენ ასე თავაშეებულები...

მართლაც, განა დასამალავია, რომ უკანასკნელი წლების მანძილზე ვაჭრობის ბევრი მუშაკის დევიზი იყო: **„მოატყუე, გამოძალე და გამდიდრდი!“.**

ამ დევიზის მიმდევრთა, სამწუხაროდ თითქმის ყოველ უბანზე შეხვედებთ.

მკითხველები რომ ასე მსჯელობენ, უწინარეს ყოვლისა, ეს ნაკარნახევია იმით, რომ საბჭოთა სახელმწიფოს კანონმდებლობა ერთია ყველასათვის, რა პოსტი და როგორი მდგომარეობაც ჰქონდა ეჭიროს მოქალაქეს. დანაშაულისათვის უნდა მიეზღოს ყველას იმის მიხედვით, თუ კინ რა ზომისა და მასშტაბის დარღვევები და დამახინჯებები დაუშვა. საზოგადო „ი ერთია:

— კანონი დაარღვიე, პასუხი აგე!

რა თქმა უნდა, ადამიანები, მთელი საზოგადოება თავიანთ თავზე განიცდიდნენ იმ მანკიერებასა და სიმახინჯეს, რაც სავაჭრო სისტემაში იყო. ახლა, როცა საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა მზის სინათლეზე გამოიტანა ეს დამახინჯებანი და დანაშაულობანი, კონკრეტულად გაჯანსაღებისათვის, ხალხის კეთილდღეობისათვის.

ამ საკითხებზე რომ მსჯელობენ, ადამიანები საუბებით სწორ შეფასებას აძლევენ გატარებულ ღონისძიებებს იმ თვალსაზრისით, რომ მომავალში არ გამეორდეს ასეთი სამახინჯე და უპატიოსნობა. ამასთან ისინი ყურადღებას განსაკუთრებით ამახვილებენ დამნაშავეთა პასუხისმგებლობაზე.

საილუსტრაციოდ მოვიყვანთ მხოლოდ ერთ წერილს, გაზეთ „კომუნისტის“ მკითხველი გ. მდინარაძე გვწერს: „წავიკითხე საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს დადგენილება ვაჭრობის სამინისტროს მუშაობის თაობაზე. მართალი გითხრათ, ეს დადგენილება გამოხატავს ჩემი და ჩემისთანა უბრალო ადამიანების საერთო აზრს. რა დასამალავია, გაწყალებულია გული ვაჭრობის ზოგიერთი მუშაკის უსინდისო დამოკიდებულებით. გვიტაფებენ წონაში, ზომაში, თუ ცოტაოდნაი სახეირო საქონელია, ყველაფერი დახლქვეშ იყიდება. ეს დადგენილება რომ წავიკითხე, გადავწყვიტე მომეწერა თქვენთვის, ალარ მეკვირა, თუ რატომ და ვისი წყალობით იყვნენ ასე თავაშეებულები...

მართლაც, განა დასამალავია, რომ უკანასკნელი წლების მანძილზე ვაჭრობის ბევრი მუშაკის დევიზი იყო: **„მოატყუე, გამოძალე და გამდიდრდი!“.**

ამ დევიზის მიმდევრთა, სამწუხაროდ თითქმის ყოველ უბანზე შეხვედებთ.

მკითხველები რომ ასე მსჯელობენ, უწინარეს ყოველისა, ეს ნაკარნახევია იმით, რომ საბჭოთა სახელმწიფოს კანონმდებლობა ერთია ყველასათვის, რა პოსტი და როგორი მდგომარეობაც ჰქონდა ეჭიროს მოქალაქეს. დანაშაულისათვის უნდა მიეზღოს ყველას იმის მიხედვით, თუ კინ რა ზომისა და მასშტაბის დარღვევები და დამახინჯებები დაუშვა. საზოგადო „ი ერთია:

— კანონი დაარღვიე, პასუხი აგე!

რა თქმა უნდა, ადამიანები, მთელი საზოგადოება თავიანთ თავზე განიცდიდნენ იმ მანკიერებასა და სიმახინჯეს, რაც სავაჭრო სისტემაში იყო. ახლა, როცა საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა მზის სინათლეზე გამოიტანა ეს დამახინჯებანი და დანაშაულობანი, კონკრეტულად ამხილა ამ მანკიერებათა მოთავენი და მოამჯერნი, — მშრომელები, ჩვენი ადამიანები აყენებენ ჭეშმარიტად სამართლიან კითხვას, თუ რატომ ხდებოდა ეს, რატომ ვერ ამჩნევდნენ ხელმძღვანელი ორგანოები, რატომ მიიშვეს ისინი იმ ზომამდე, რომ ჩაედინათ ასეთი დანაშაულობანი?

როცა ღრმად უფიქრდები ამას, ეცნობი ხალხის აზრს, რწმუნდები იმაში, რომ ახლა ჩვენში ვიღაც ურიგდებიან უსინდისოობასა და დანაშაულობებს, მიესალმებიან იმ მაკოცხლებელ მძლავრ ნაკადს, რის შედეგადაც ჩვენს რესპუბლიკაში დღეს მნიშვნელოვნად ამაღლდა მომთხოვნელობის დონე, გაძლიერდა მინდობილი საქმისათვის პასუხისმგებლობის გრძნობა. ყოველივე ეს კი ხორციელდება ადამიანის სიკეთისათვის, სწორედ ამიტომ უყურებს ჩვენი ხალხი ყველას მოთხოვნას:

თუ პარტიამ, სახელმწიფომ განდო დიდი საქმე, კოლექტივის ხელმძღვანელობა, იყავი ამ ნდობის ღირსი, გაამართლე იგი მთელი შენი კეთილსინდისიერებით, სისპეტაკით, მოვალეობისადმი ერთგულებით, მაღალი დისციპლინით.

როცა გრძნობ და განიცდი სახალხო, სახელმწიფოებრივი საკითხებისადმი ჩვენი რიგითი ადამიანების ასეთ მიდგომას, გული სიამაყის გრძნობით გეკვსება, იცი, რომ ისინი ეყრდნობიან ადამიანებს, ეყრდნობიან ჩვენი საერთო საქმით, ბოლო ხანს სულ უფრო ღრმავდება ჩვენში შრომისადმი, მოვალეობისადმი დიდი პასუხისმგებლობით დამოკიდებულების გრძნობა.

როგორც ვაჭრობის სამინისტროს მუშაობის შესახებ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის დადგენილებაშია აღნიშნული, სამინისტროს პირველადი პარტიული ორგანიზაციის მუშაობაში ბევრი ფორმალიზმია. პარტიულმა ბიურომ კოლეტივიში ვერ შეაქნა კრიტიკისა და თვითკრიტიკის ჯიუტარება, არ სარგებლობდა პარტიისა და მთავრობის დირექტივების შესასრულებლად აპარატის საქმიანობისადმი კონტროლის საწესდებო უფლებით. პარტიული ორგანიზაცია ბრძოლისუნარიანი ვერ აღმოჩნდა, ვერ ადიმაღლა ხმა კერძოსესაკუთრული ტენდენციების წინააღმდეგ, რომლებმაც ფეხი მოიკიდა აპარტ ხელმძღვანელ მუშაკთა შორის.

ყოველივე ეს ერთხელ კიდევ თვალნათლივ დადასტურდა ამას წინათ სამინისტროს პირველადი პარტიული ორგანიზაციის კრებაზე, რომელიც საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის დადგენილების განხილვას მიეძღვნა.

კრების მსვლელობაში, კომუნისტთა გამოსვლებში არ იყო იმ მანკიერებათა მკაცრი, გამბედული კრიტიკა, რომლებიც წლების მანძილზე აქ იყო დამკვიდრებული. მოკამათენი, თითქოს პირი შეიკრიათო, არ ლაპარაკობდნენ სამინისტროს ხელმძღვანელთა მიერ დაშვებულ სერიოზულ ნაკლოვანებებზე, ჩაგრულებზე, დამახინჯებებსა და საბჭოთა კანონების დარღვევებზე, რაც ღრმად და ობიექტურად იყო ნაჩვენები საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს დადგენილებაში. ერთი სიტყვით, პარტიის თბილისის ორგანიზაციის კალინინის რაიონულ კომიტეტს სერიოზული დასკვნების გაკეთება დასჭირდება იმისათვის, რომ უფრო პრინციპული და ბრძოლისუნარიანი გახდეს სამინისტროს პირველადი პარტიული ორგანიზაცია და მისი ბიურო, ფორმალურად წარმომართოს შეურიგებელი ბრძოლა აპარატის მუშაობისა და საერთოდ რესპუბლიკის ვაჭრობის მთელი სისტემის გაუმჯობესებისა და გაჯანსაღებისათვის.

სხვანირად გაძნელდება იმ სერიოზული და უაღრესად მნიშვნელოვანი ამოცანების გადაჭრა, რომლებიც აქვთ ჩვენ კომუნისტებს, ყველა მუშაკის წინაშე დგას.

ᲠᲝᲓᲘᲡ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის X პლენუმზე სრულიად სამართლიანად აღინიშნა, მიუტევებელი შეცდომა იქნება, თუ ვეფეგრეთ, რომ ვაჭრობის დარგში ახლა ყველაფერი თავისთავად გამოსწორდება.

თავისთავად, როგორც ცნობილია, არაფერი არა სწორდება. საჭიროა დიდი შრომა, ბეჯითი მეცადინეობა, რომ ჩვენი ადამიანები ბოლოს და ბოლოს ვეღირთ გამოსთქვამდნენ ქმაყოფილებას ვაჭრობის მუშაკთა მოქმედებებით.

იმ ადამიანთა გვერდით, რომელთაც თავიანთ მოქალაქეობრივ საქმედ მიაჩნიათ ჩვენი ცხოვრების გაჯანსაღება, ბუნებრივია, ვაჭრობის დარგის ბევრი პატიოსანი მუშაკიც დგას. ისინი მთელი გულმოდგინეებით იღვწიან იმ დიდმნიშვნელოვანი ამოცანების გადასაწყვეტად, ჩვენს საზოგადოებას პარტიის XXIV ყრილობამ რომ დაუსახა, და რომელთა გადაწყვეტაზე დიდად არის დამოკიდებული ჩვენი ხალხის შემდგომი კეთილდღეობა.

არაფი ლუკმა ეშვიათად თუ ვინმეს შერჩენია, ქარის მოტახილიც მუდამ ისევ ქარს მიაქეს. დღეს მთელი ჩვენი საზოგადოებრიობა, როგორც ერთი კაცი, აღუდგა ყველა იმ უკანონობასა და სიმახინჯეს, რაც წლეულს განმავლობაში ინერგებოდა ჩვენში.

Ꮆ. ᲩᲘᲥᲕᲘᲜᲘᲫᲔ.

ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲑᲣᲭᲐᲠᲔᲡᲢᲘ

ᲮᲝᲛᲐᲚᲓᲔᲑᲘᲡ ᲕᲘᲖᲘᲢᲘ

Ა ᲐᲑᲐᲕᲘᲡᲢᲝ. (ᲡᲐᲥᲓᲔᲡᲘ). დღეს რუმინეთის კონსტანცის ნავსადგურში ოფიციალური მეგობრული ვიზიტით შევიდა საბჭოთა სამხედრო ხომალდების რაზმი, რომლის შემადგენლობაში არიან კრეისერი „ადმირალი გოლოვკო“, საესკადრო ნაღმოსანი „ნახოდჩივი“ და საღარაჯო ხომალდი „კრასნოდარსკი კომსომოლეცი“, რომლებსაც სარდლობს ვიცე-ადმირალი ბ. ე. იუმკოვი.

ᲙᲐᲜᲝᲜᲘ ᲡᲡᲠ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲛᲗᲐᲕᲠᲝᲑᲘᲡ ᲡᲐᲩᲣᲥᲐᲠᲘ

Ა ᲐᲑᲐᲕᲘᲡᲢᲝ. (ᲡᲐᲥᲓᲔᲡᲘᲡ ᲙᲝᲠ.). **დღეს ჰაიფონში ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის თვეზის რეწვის მთავარ სამმართველოს გადაეცა ორი საბჭოთა თანამედროვე საზღვაო თევზსაჭერი ტრალერი.** სსრ კავშირისა და ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის წარმომადგენელთა მიერ გადაცემის აქტს ხელმოწერის შემდეგ გაიმართა ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის ალმების აღმართვის საზეიმო ცერემონია.

ᲢᲔᲠᲠᲝᲠᲘᲡᲢᲗᲐ ᲗᲕᲘᲗᲛᲗᲮᲘᲚᲕᲔᲒᲐ ᲜᲘᲥᲝᲖᲘᲐ

3 ᲐᲑᲐᲕᲘᲡᲢᲝ. (ᲡᲐᲥᲓᲔᲡᲘ). აქ გავრცელდა უარცლმები, რომლებსაც ხელს აწერს გენერალი ბრიგასი — ტერორისტული ᲙᲐᲨᲣᲨᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲡᲐᲥᲛᲘᲐᲜᲝᲑᲘᲡ ᲮᲔᲚᲛᲫᲦᲕᲐᲜᲔᲚᲘ ᲙᲣᲜᲫᲣᲚᲘ. ფურცლებში აღიარებულია, რომ კვიპროსის იუსტიციის მინისტრი ხ. ვაკისი ამას წინათ მოიტაცეს ამ ტერორისტული ჯგუფების წევრებმა, და წამოყენებულია მთელი რიგი პირობები ამის განსათავისუფლებლად. ამ პირობებს შორის არის პროფეკაციული მოთხოვნები, რომ მაკარიოსმა უარი თქვას სახელმწიფო მოღვაწეობაზე, სამსახურში აღადგინონ პოლიციელები, რომლებიც ამას წინათ დაითხოვეს არალეგალურ ორგანიზაციებთან კავშირისათვის, გაათავისუფლონ ზოგიერთი პირნი, რომლებიც ხელიღვაზრდობა, სულ უფრო სცილდებიან ბურჟუაზიული კულტურის სტანდარტებს, რომელიც ჩვენში მრავალი ათწლეულის მანძილზე იყო მოძალებული. შოილანკელი მწერლები, პოეტები, დრამატურგები ფართოდ იყენებენ თავიანთ შემოქმედებაში რეალისტურ მეთოდს. მათგან ყველაზე მოწინავენი თანდათან ეუფლებიან სოციალისტურ რეალიზმს“. „იმისათვის, რომ ჩვენი მხატვრული სიტყვის ოსტატებს თეორიული იარაღი მისცეს, სახალხო მწერალთა ფორუმმა დაიწყო მარქსისტული ლიტერატურის გამოცემა, — აღნიშნა ი. ვიტანანმ — ამ სერიის შემდგომ პუბლიკაციად იქნება წიგნი „სოციალისტური რეალიზმი ლიტერატურასა და ხელოვნებაში“.

ᲧᲝᲕᲔᲚᲓᲦᲔ ცნობილი ხდება ახალი ფაქტები იმ მხეცობის შესახებ, რასაც პორტუგალიელი დამპყრობნი სჩადიან თავიანთ კოლონიებში. სოფელ ვირიამუში მოწყობილ სიხლხლად ხოცვა-ჟლეტას სულ ახალ-ახალი ფაქტები ემატება. კოლონიალური შეიარაღებული ძალების ჯარისკაცები სისტემატურად სწვავენ სოფლებს, ხოცავენ მოხუცებსა და ბავშვებს, ხვრეტენ ტყვედ წაყვანილ პატრიოტებს. **ᲮᲔᲠᲐᲗᲝᲜ: ტყვედ ჩავარდნილის მკვლელობა.**

ᲐᲠᲘᲡᲢᲝᲜ-ᲡᲐᲥᲓᲔᲡᲘᲡ ᲤᲝᲢᲝ.

ᲙᲝᲚᲝᲜᲘᲐᲚᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲨᲔᲛᲝᲬᲛᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲡᲐᲬᲧᲘᲡᲘ

Ა ᲐᲑᲐᲕᲘᲡᲢᲝ. (ᲡᲐᲥᲓᲔᲡᲘᲡ ᲙᲝᲠ.). **ᲐᲤᲠᲘᲙᲘᲡ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲗᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲙᲝᲜᲡᲢᲘᲢᲣᲢᲘᲡ ᲞᲠᲔᲛᲘᲔᲠ-ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲘᲡ Კ. ᲢᲐᲜᲐᲯᲐᲡ, ᲠᲝᲛᲚᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲐᲤᲠᲘᲙᲘᲡ ᲙᲝᲜᲒᲠᲔᲡᲘᲡ ᲓᲔᲚᲔᲒᲐᲪᲘᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲨᲔ ᲛᲝᲡᲐᲣᲑᲠᲔᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ.** სხდომის დროს კომისიის წევრთა წინაშე გამოვიდნენ ყოფილი მთავრობის მთელი რიგი მოხელენი და თეთრი სახლის აპარატის თანამშრომელნი, მათ შორის იუსტიციის ყოფილი მინისტრი მიტჩელი, პრეზიდენტის ყოფილი მრჩეველები ჰოლდემანი, ერლიქმანი და სხვები.

თავიანთ ჩვენებებში მათ უარყვეს პრესაში გავრცელებული მტკიცება, თითქოს ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტს რიჩარდ კაქმორი „უოტერგეიტის საქმესთან“. როგორც ერლიქმანმა განაცხადა, პრეზიდენტის მხრივ არავითარი ბოროტმოქმედება და კანონიერების დარღვევა არ მომხდარა. მიტჩელმა თავის გამოსვლაში აღნიშნა, რომ რ. ნიქსონმა არაფერი არ იცოდა და არავითარი ინფორმაცია არ ჰქონდა „უოტერგეიტის საქმის“ შესახებ.

როგორც ცნობილია, სენატის სპეციალური კომისიის გამომძიებლისათვის საბაბი გახდა გასული წლის ივნისში საარჩევნო კამპანიის დროს მომხდარი ინციდენტი, როცა დემოკრატიული „უოტერგეიტის“ სასტუმროში დაპატიმრეს პირთა ჯგუფი, რომლებიც ცდილობდნენ მიყურადების მოწყობილობა დაედგათ იქ განლაგებული დემოკრატიული პარტიის შტაბ-ბინაში.

ᲥᲐᲜᲝᲜᲘ ᲕᲘ. ᲚᲔᲜᲘᲜᲘᲡ ᲜᲐᲜᲐᲠᲛᲝᲘᲜᲘ ᲡᲘᲒᲒᲐᲚᲣᲠ ᲔᲜᲐᲖᲔ

Ა ᲐᲑᲐᲕᲘᲡᲢᲝ. (ᲡᲐᲥᲓᲔᲡᲘᲡ ᲙᲝᲠ.). **„Გ. Ი. ᲚᲔᲜᲘᲜᲘᲡ ᲚᲘᲢᲔᲠᲐᲢᲣᲠᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲮᲔᲚᲝᲕᲜᲔᲑᲘᲡ ᲗᲔᲛᲐᲡᲔᲑᲘ“** — ასე ეწოდება კრებულს, რომელიც ᲨᲠᲘ ᲚᲐᲜᲙᲘᲡ საბჭოთა მწერალთა ფორუმმა გამოსცა სინგალურ ენაზე. კრებულში შესულია ვ. ი. ლენინის ბევრი ცნობილი ნაწარმოები: „პარტიული ორგანიზაცია და პარტიული ლიტერატურა“, „ლევ ტოლსტოი როგორც რუსული რევოლუციის სარკე“ და სხვ.

„საგულისხმოა, რომ სახალხო მწერალთა ფორუმმა პირველ წიგნად ლენინის სტატიების კრებული გამოსცა, — განაცხადა საკადესის კოორდინატორთან საუბარში სახალხო მწერალთა ფორუმის ეგზეკუტიურმა მდივანმა. ცნობილმა მწერალმა გუნასენა ვიტანამ. — ახლა ჩვენი ლიტერატორები, მეტადრე ახალგაზრდა, ეცნობიან ლენინის ლიტერატურულ ანალიზებს ლიტერატურულ ფენომენებზე

საქართველოს ძმა-ბაგური

ლიახვის წყლის სიკეთე

ზნაური. (საკ. კორ.). ახლახან საექსპლოატაციოდ გადაეცა კეტვის არხის გაგრძელება, რომელმაც გაახარწყავა ზნაურისა და ქარელის რაიონების 1.000 ჰექტარზე მეტი მიწა.

არხმა გადაუარა ცხინვალის რაიონის თამარაშენის საბჭოთა მეურნეობის, ზნაურის რაიონის მთელი რიგი კოლმეურნეობების მინდვრებს და ზემო ქართლის მოურწყავი მიწები დაეპურა. ლიახვის წყალმა განსაკუთრებით გაახარა ზნაურის რაიონის ველების საბჭოთა მეურნეობა, სადაც ამჟამად უკვე ირწყვება 600 ჰექტარი მინდორი.

პირველი გამოშვება

ჭუმასი. (საკ. კორ). საზეიმოდ ჩაიარა პირველი გამოშვების საღამო, რომელიც გაიმართა ვ. ი. ლენინის სახელობის საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის ქუთაისის ფაკულტეტზე.

ხუთი წლის წინათ პოლიტექნიკური ინსტიტუტის ქუთაისის ფაკულტეტზე დაესწრებელი და საღამოს სწავლების ბაზაზე შეიქმნა დღის განყოფილება მსუბუქი და კვების მრეწველობის 8 სპეციალობით, გაიხსნა 12 კათედრა.

და აი უკვე ფაკულტეტის დღის განყოფილება დაამთავრა 180 სტუდენტმა. ბევრმა მათგანმა წარჩინებით დაიცვა დიპლომი. მარტო 1101-ე ჯგუფის 26 სტუდენტიდან ინსტიტუტი წარჩინებით დაამთავრა 3 სტუდენტმა.

სახელმწიფო საგამოცდო კომისიის ერთ-ერთი სხდომა შედგა საკონდიტერო ფაბრიკაში. აქ თანამოსაქმეთა წინაშე დიპლომი დაიცვა ამავე ფაბრიკის მუშამ ჯ. ხეცურიანმა.

ინსტიტუტის კურსდამთავრებულებმა პირობა დადეს, რომ მაღალნაყოფიერად იშრომებენ.

ქურნალი — ქარხნის სტუმარი

კარბი ტრადიცია დაამკვიდრა ჟურნალმა „საქართველოს აგიტატორმა“. რედაქციის კოლექტივი პერიოდულად თავისებური ანგარიშით წარსდგება ხოლმე მკითხველთა წინაშე. აი ახლახან ჟურნალი თბილისელ ელექტროვაგონშემკეთებლებს ესტუმრა. შეხვედრა გახსნა ქარხნის პარტიული კომიტეტის მდივანმა ჯ. ვეფხვაძემ. შემდეგ წლევანდელ 6 თვეში გამოსული ჟურნალის ნომრები მიმოიხილა რედაქციის თანამშრომელმა ნ. ჩიგოგიძემ.

იმაზე, თუ როგორ ეხმარებათ მუშაობაში „საქართველოს აგიტატორი“, ილაპარაკეს ქარხნის აგიტკოლექტივის სელმძღვანელმა ი. ბოლქვაძემ, ვეტერანმა აგიტატორმა ს. ბაბაევმა, კომუნისტური შრომის სკოლის პროპაგანდისტმა რ. შიოშვილმა, საზოგადოება „ცოდნის“ პირველადი ორგანიზაციის თავმჯდომარემ შ. ჯოანტიაშვილმა. მან გამოთქვეს საყურადღებო წინადადებები, სურვილები იმის შესახებ, თუ რა მასალები გამოაქვეყნოს ჟურნალმა შემდეგში იდეოლოგიური ფრონტის მუშაკების დასახმარებლად.

დასასრულ სიტყვა წარმოთქვა ჟურნალ „საქართველოს აგიტატორის“ რედაქტორმა დ. კაკაბაძემ, რომელმაც დამსწრეთ გააცნო რედაქციის მომავალი საქმიანობის გეგმები.

ბ. გულიაშვილი.

ახალგაზრდობის მსოფლიო ფესტივალზე

ეშვიდობა, ეშვიდობა

ბერლინი. ახალგაზრდობისა და სტუდენტთა მეათე მსოფლიო ფესტივალი.

სურათზე: ქართველი მოცეკვავეების გამოსვლა ზეიმის დროს.

საკლესის ფოტო (მიღებულია ხაქინფორმის ფოტოტელეგრაფით).

ჭადრაკის მერიდიანებზე

პეტროპოლისი. საზონათაშორისო საჭადრაკო ტურნირის მეშვიდე ტურში უაიმით დამთავრდა შეჯიბრების ლიდერის იუგოსლავი გროსმაისტერის ლიუბოევიჩის პარტია ტანთან (სინგაპური), რომელიც თეორიებით თამაშობდა. ბრონშტეინმა დაამარცხა გეორგიუ. საკონმა წააგო მეკინგთან, პორტმა-ივკოვთან. უაიმით დამთავრდა პანოსა და ბაიახასის შეხვედრა. ოთხი — კერეს-სმისლოვის, პოლუგაევსკი-გელერის, პორტიშ-კაგანისა და რეშევსკი-ბუგის პარტია გადაიდო.

ტრენტონ-ონ-ტისი. საბჭოთა მოჭადრაკემ ალექსანდრე ბელიავსკიმ უკანასკნელისწინა შეხვედრაში, მსოფლიო ჩემპიონატის მეათე ტურში იუნიორთა შორის დაამარცხა ბლოკი და ქულებით დაეწია ლიდერს იუგოსლავ სლავიუფს მარიანოვიჩს.

მარიანოვიჩმა მეათე ტურში უაიმით დამთავრა შეხვედრა ამერიკელ კრისტიანთან და მოაგროვა 7,5 ქულა. ახლა იგი პირველ-მეორე ადგილებს ინწილებს საბჭოთა მოჭადრაკესთან ერთად.

უკანასკნელ ტურში ლიდერები ერთმანეთს ხვდებიან.

ბუენოს-აირესი. ზონათაშორისო — საჭადრაკო — ტურნირის „ბ“-ს მეცხრე ტურის შედეგად გამარჯვების ცხრილს მეთაურობენ საბჭოთა გროსმაისტერი ტიგრან პეტროსიანი, რომელმაც უაიმით დამთავრა შეხვედრა უნგრელ რიბლისთან და იუგოსლავი გროსმაისტერი პლანინაცი, რომელმაც უკანასკნელ ტურში წააგო არგენტინელ კინტეროსთან, ლიდერებს 8,5-8,5 ქულა აქვთ. (საკდეს.).

ჩოგბურთი

„პროგრესულის“ კორტებზე

ბუქარესტი. დღევანდელ ევროპის „ა“ ზონის ფინალური მატჩი სსრ კავშირისა და რუმინეთის ჩოგბურთელებს შორის გაიხსნა სსრ კავშირის ჩემპიონის თბილისელი ალექსანდრე მეტრეველისა და ახალგაზრდა რუმინელი ჩოგბურთელის ტომ ოვიჩის შეხვედრით. პირველ დღეს გაიმართა აგრეთვე რუმინეთის ჩემპიონის ილიე ნასტასესა და თბილისელი თემურაზ კაკულიას ორთაბრძოლა. გაიმარჯვეს მეტრეველმა (3:0) და ნასტასემ (3:0).

4 აგვისტოს მოეწყობა წყვილთა შეხვედრა.

ფეხბურთი

მატჩი ბერლინში

ბუენოს ბერლინში გაიმართა ახალგაზრდობისა და სტუდენტთა საერთაშორისო ფესტივალისადმი მიძღვნილი მატჩი ფეხბურთში. ერთმანეთს შეხვდნენ ბერლინისა და მოსკოვის დინამოელები. ასპარეზობა დამთავრდა მოსკოველთა გამარჯვებით — 3:1.

ქალთაბურთი

ი. გაგარინის მემორიალი

ვილნიუსში დაიწყო იური გაგარინის სახელობის ტრადიციული საერთაშორისო ტურნირი. პირველ მატჩში ერთმანეთს შეხვდნენ მსოფლიოს ჩემპიონები — იუგოსლაველი კალამაბუთოლელები და სსრ კავშირის ახალგაზრდული ნაკრები. გაიმარჯვეს უფრო გამოცდილმა სპორტსმენებმა — სტურრმა 93:70 (51:31). ამავე დღეს დამარცხება განიცადა ლიტვის გუნდმაც: მან წააგო ჩეხოსლოვაკიის ნაკრებთან 71:76 (33:40). მეორე დღეს გაიმართა მატჩი — სსრ კავშირის პირველი ნაკრები-ფინეთი. საბჭოთა სპორტსმენებმა დამაჯერებელი გამარჯვება მოიპოვეს — 114:63 (55:37). ჩვენს გუნდში თავი გამოჩინეს ლენინგრადელმა ვლადიმერ არზამასკოვმა, თბილისელმა მისნელ ქორქიამ — 16-16 ქულა და სვერდლოვსკელმა ანატოლი მიშკინმა — 13 ქულა.

რამდენიმე სტრიქონით

ფრენბურთი. დონეცკში, მოეწყო საერთაშორისო ტურნირი, რომელიც მიეძღვნა საბჭოთა ფრენბურთის 50 წლისთავს. გადამწყვეტ შეხვედრაში ჩვენი ქვეყნის ქალთა ნაკრებმა სძლია ჩვენსავე სტუდენტურ გუნდს „უნივერსიადა-73“-ს—3:1. მესამე ადგილზე გამოვიდნენ გდრ-ის ფრენბურთელები.

რეგბი. მოსკოვის „კრილია სოვეტოვის“ სტადიონზე გაიმართა საერთაშორისო მატჩი სსრ კავშირის ჩემპიონ „ფილისა“ და რუმინეთის ქალაქ სიბიუს მუშათა სპორტული კლუბის გუნდებს შორის. გაიმარჯვეს მასპინძლებმა 16:13.

სტენდი. კიევში დამთავრდა საკავშირო ჩემპიონატი სახტენდო სროლაში. გუნდურ ჩათვლაში გაიმარჯვეს მოსკოველმა სპორტსმენებმა. მეორე ადგილზე პრიან რსფსრ-ს, ხოლო მესამეზე უკრაინელი მესტენდურეები.

ნაირ-ნაირი

ხალი საუნაგი... ქოშაკ

ინგლისელი მეცნიერები თავს იმტკივნეულ იმაზე, როგორ გადაარჩინონ დანგრევას ცნობილი ლონდონის ტაუერის ნაგები — მარილის კოშკი. ეს კოშკი დაახლოებით 700 წლის წინათ აშენდა. შუა საუკუნეებში კოშკს, რომელიც გათვალისწინებული იყო როგორც თავდაცვის საშუალება, იყენებდნენ მარილის შესანახად, რომელსაც ინგლისის მონარქები გადასახადის სახით კრეფდნენ ყმებისაგან. სწორედ მარილის მოქმედებით დაიწყო კოშკის კედლებმა დაშლა.

ამჟამად კოშკის გადარჩენას აპირებენ ცხელი თიხის თვისებური საფენების საშუალებით.

მეორე ცდა

35 წლის იაპონელი კ. ჰორიე აპირებს მეორედ ცადოს ბედი — შეუწერებლად გარს შემოუარეს დედამიწას პატარა იახტით. პირველი ცდა გასული წლის ნოემბერში წარუმატებლად დამთავრდა. მეხსიერ დღეს მისი ხომალდი ქარიშხალში მოხვდა და ანძების დამსხვრევის შემდეგ დაკარგა მოძრაობის უნაო. ახლა ჰორიე აპირებს „ალი-3“ იახტით იმოგზაუროს. იგი ვარაუდობს, რომ ეს მოგზაურობა 280 დღეს გასტანს.

მოკლედ

ამჟამად 100 მილიონი ბრაზილიელიდან 20 მილიონზე მეტმა არ იცის წერა-კითხვა, წერს გაზეთი „ლერეიო ბრაზილიენსი“. უწიგნურობა ბრაზილიის ერთ-ერთი „უმწვავესი სოციალური პრობლემაა.

ფერთნის დროს ეკიპაჟი-ანად დაიღუპა იაპონიის ოკეანეის ზედაპირზე დისლოცირებული ამერიკის საზღვაო ქვეითი ჯარის ქვეგანყოფილების ფერმფრენაგი.

აქვინდი

დღეს, 4 აგვისტოს, **დასავლეთ საქართველოში** მოსალოდნელია ცვალებადი მოღრუბლულობა, ზოგან მცირე წვიმა ელჭექით, სუსტი ქარი, ტემპერატურა ბარში 25-29, მთაში 20-24 გრადუსი სითბო.

აღმოსავლეთ საქართველოში ცვალებადი მოღრუბლულობა, მთა რაიონებში მოსალოდნელია მცირე ხანმოკლე წვიმა და ელჭექი, სუსტი ქარი, ტემპერატურა დაბლობ რაიონებში 33-37, მთიან რაიონებში 24-28 გრადუსი სითბო.

თბილისში მოსალოდნელია მცირე მოღრუბლულობა უნალექოდ, სუსტი ქარი, ტემპერატურა 35-37 გრადუსი სიცხე.

ქალაქთაბურთი

პირველი შეხვედრები

თავისი არსებობის ერთ თვეს ითვლის საქართველოს პროფსაბჭოს „კულტურის სასახლე. ამ მოკლე დროში მან შეძლო შეხვედრა გაემართა სასახლის მშენებლებთან, ჩაეტარებინა ვაჭრობის დღისადმი მიძღვნილი საზეიმო საღამო. აქამდე სასახლის გვერდით მიმდინარეობს დამატებითი სამუშაოები ოპერისა და ბალეტის თეატრის მსახიობთა ოთახების მოსაწყობად. არსებული სიძნელეების მიუხედავად, რომლებიც უშუალოდ დაკავშირებული შენებლობასთან და ზაფხულის პერიოდთან, კულტურის სასახლემ მიიღო გადაწყვეტილება მშენებლებს, სოფლის მეურნეობის მუშაკებს სათანადო კულტურული მომსახურება გაუწიოს ობიექტებზე და მინდვრად.

მსოფლიოს ახალგაზრდობის ფესტივალის გახსნას მიეძღვნა საკავშირო მნიშვნელობის უინვალიდების მშენებლობის შეხვედრა მეცნიერების, ლიტერატურის, ხელოვნებისა და სპორტის მოწინავე წარმომადგენლებთან, რომელიც ამ დღეებში შედგა.

ჟინვალიდების № 1 გვერდის კომუნისტური შრომის დამკვრელურ ბრიგადასთან იყვნენ კომპოზიტორი მიხეილ ჩირინაშვილი, საერთაშორისო მიმომხილველი, ისტორიულ მეცნიერებათა კანდიდატი ამირან ავალიანი, რესპუბლიკის სახალხო არტისტი მედეა ამირანაშვილი, პოეტი იოსებ ნონეშვილი, კომპოზიტორი ნოდარ გიგაური, ნოდარ ბაქრაძეს, გ. გაბატაეკვს, გ. ფანცქალაშვილს, დ. სოსანაშვილს გადაწყვეტილი აქვთ წლის ბოლომდე დაამთავრონ № 2 გვირაბის გაყვანა. სამუშაოთა გაცნობის შემდეგ მშენებლები და სტუმრები შეიკრიბნენ ჟინვალიდების კლუბში. შეხვედრის დაწყებამდე ოსტატების კანდიდატმა მაია ჩიბურდანიძემ დასცა მაია ჩიბურდანიძეს.

გულთბილი მიღებისათვის მადლობა გამოთქვეს და შემოქმედებით გეგმებზე ილაპარაკეს მ. ჩირინაშვილმა, ა. ავალიანმა, ი. ნონეშვილმა. შემდეგ გაიმართა კონცერტი, რომელშიც მონაწილეობდნენ ვოკალურ-ინსტრუმენტული ансამბლი და თბილისის ბ. ძნელაძის სახელობის ბინერთა და მოსწავლეთა სასახლის ნორჩი სოლისტები.

საღამომ წარმატებით ჩაიარა. მშენებლებმა საქართველოს პროფსაბჭოს კულტურის სასახლის კოლექტივს (დირექტორი ნ. კანდელაკი) მიმართა დიდი მადლობა-ყოფილება გამოთქვეს ამ კარგი და შინაარსიანი შეხვედრის მოწყობისათვის.

მ. კალანდაძე,
საქართველოს პროფსაბჭოს კულტურის სასახლის კულტმასობრივი მუშაობის განყოფილების გამგე.

სურათებზე: [illegible] მშენებლები (მარცხნივ), მაია ჩიბურდანიძე ერთდროული თამაშის სანახს ატარებს (მარჯვნივ).

მ. დაფიანაშვილის ფოტო. (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

ჯვარედინი

ბერლინი. ახალგაზრდობისა და სტუდენტთა მეათე მსოფლიო ფესტივალი.

ბერლინი. ახალგაზრდობისა და სტუდენტთა მეათე მსოფლიო ფესტივალი.

ბერლინი. ახალგაზრდობისა და სტუდენტთა მეათე მსოფლიო ფესტივალი.

ბერლინი. ახალგაზრდობისა და სტუდენტთა მეათე მსოფლიო ფესტივალი.

ბერლინი. ახალგაზრდობისა და სტუდენტთა მეათე მსოფლიო ფესტივალი.

ბერლინი. ახალგაზრდობისა და სტუდენტთა მეათე მსოფლიო ფესტივალი.

ბერლინი. ახალგაზრდობისა და სტუდენტთა მეათე მსოფლიო ფესტივალი.

ბერლინი. ახალგაზრდობისა და სტუდენტთა მეათე მსოფლიო ფესტივალი.

ფუბრუნდებით დაბეჭდილს

ადამიანის მაღალი დანიშნულება

პასუხი უპასუხოდ დარჩენილ კითხვაზე

ბაზეთ „კომუნისტის“ 27 მაისის ნომერში დაიბეჭდა წერილი — „უპასუხოდ დარჩენილი კითხვა“. მასში მოთხობილი იყო ერთი ოჯახის ისტორია. სამამულო ომის დროს დაქვრივებულმა ქალმა უმამოდ დაზარდა შვილები. ჯოჯონები გათხოვდნენ, ვაჟმა — ნოდარმა ცოლი შეირთო. დედამ და დებმა საერთო ენა ვერ გამონახეს რძალთან და ურჩევდნენ ნოდარს — დაენგრია ოჯახი, მიეტოვებინა შვილები და გულის რჩეული, დაბრუნებოდა დედას...

დღეს გვინდა იმ წერილებზე გიპასუხოთ, რომელიც თქვენ, გაზეთ „კომუნისტის“ მკითხველებმა გამოგვიგზავნეთ. თვითეული ეს წერილი ძვირფასია ჩვენთვის, იმის მიუხედავად, მასში ნოდარს ამტკუნებთ, მის მეუღლეს, დებსა და დედას, ყველს ერთად თუ საგაზეთო წერილის ავტორს, რომელმაც ხალხის ფართო სამსჯავროზე გამოიტანა ერთი ოჯახის სამწუხარო ისტორია ამ ოჯახის წევრთა დაეინებული მოთხოვნით. ის ფაქტი, რომ მკითხველებმა გამონახეთ დრო რედაქციისათვის მოსწერად, თვითეული ადამიანის ცხოვრებაში ფართო საზოგადოებრივობის ჩარევის აუცილებლობის ღირსეული შეფასებაა, იმის ნაფილი დადასტურებაა, რომ დღეგანდელ დღეს ჩვენს საბჭოთა სინამდვილეში ადამიანი მარტო არ არის, რომ არ შეიძლება შემოეფარგლოთ მხოლოდ პირადი ინტერესებით, ანგარიში უნდა გავუწიოთ საზოგადოების აზრს, ობიექტურად გავერკვეთ შექმნილ ვითარებაში.

და რომ ეს მართლაც ასეა, ამის დასტურად გთავაზობთ რამდენიმე პასუხს მკითხველთა წერილებიდან „უპასუხოდ დარჩენილ კითხვაზე“.

— „ნოდარს არაფერი გააკეთებინებს. არც არავის შეუძლია მისი დაცვა. გადაეცით ჩემი და ჩემი ამხანაგების სახელით, ისეთი გოდორი დაწნას, მის შვილებსაც რომ გამოადგეთ შემდეგ...

ნოდარის დედავ! ჩემს წარმოდგენაში მრავალგზის ტანჯული ქალო! თუ შვილის მეგობარი იყავით, რატომ არ ჩაიხედეთ მის გულში, რატომ არ გაუწიეთ თანაგრძნობა? რატომ არ შეგეცოდათ მარტო ნოდარენი შვილიშვილები? რატომ არ გაიხადეთ საფიცარ ხატად ნოდარი და მისი ცოლ-შვილი, რადგან თქვენს სათაყვანებელ და საფიცარ ვაუს უყვარს იგი? დანაშაული გაქვთ ჩადენილი შვილის აღზრდაში. თქვენი საქციელი მწარე გაკვეთილია ყველა შვილისათვის“. **ტატიანა კლდიაშვილი,** ქუთაისიდან.

ტყიბულის ლენინის სახელობის შახტის საანგარიშო ბიუროს უფროსი **ეთერ აბესაძე** აღშფოთებას გამოთქვამს ნოდარის საქციელის გამო. თქვენ რას იზამდით, თქვენი შვილი რომ თქვენსავით მოგექცეოდათ? — კითხულობს იგი.

— „მე მყავს მეზობელი, მოიყვანა ცოლი. თან მყვება დედამთილი, მაგრამ რძალს ვერ დაანახვა სიკეთე. სულ ჩახჩიჩინებს ქმარს, დედაშენი ჩვენთან ნუ დადისო. შვილებს არ აჩვენებს დედამთილს...

ისეთი დედები არ არსებობენ, ნოდარ, შენ რომ ამბობ. არიან მხოლოდ ისეთი შვილები, შენ რომ ხარ... ყოველთვის შვილები ტყუიან დედასთან... ან რა ვაყაცობა გყოფნას, რომ სამი წელიწადია არ განახავს ავადმყოფი დედა“. **ლილი ჩხეიძე** ქუთაისიდან.

„თქვენ არ გქონდათ უფლება, საკუთარი დასკვნა დედისათვის გაზეთის ფურცლებიდან გეთქვათ. ეს ხაპირბოროტო, მწვავი საკითხია. რომლის გადაჭრა ასე კატეგორიულად არ შეიძლება. იქნებ ნოდარის დედა არის ღირსი ასეთი დასკვნისა, მაგრამ რა დაუშავეს იმ დედებმა, რომლებიც მართლა იტანჯებიან, რომელთაც მართლა ართმევენ შვილებს, უმწარებენ სიბერეს. თქვენ კი თქვენი დასკვნით ყველა ნამდვილი დედა დასაჯეთ... დარწმუნებული ვარ, ამ წერილს წაკითხვის შემდეგ დედამთილად წარმომდგენეთ. მე კი რძალი ვარ, თანაც დაწუნებული რძალი“. **ც. შეყრილაძე,** თბილისიდან.

„ამ კითხვის უპასუხოდ დატოვებით თქვენ გიჭირთ ყველაზე ობიექტური და ყველაზე სამართლიანი პასუხი ნოდარის დედას. და არა მარტო მას, ბევრ სხვასაც“. **ე. ბერიშვილი.** თბილისიდან.

„მე მომწონს თქვენი ვაყაცობა, ნოდარ. რომ შვილები უპატროდ არ დატოვეთ“, — იწერება ხობის რაიონის სოფელ ხამისკურიდან მეათე კლასის მოსწავლე **თემურ კაკალია.**

„ნოდარის სუსტმა მხარეებმა გაეპირობეს საყვარელი, მოაბეზედდის დაკარგვა. მას უნდა გამოეჩინა კეთილშობილება, მეტი ხიბტკაცეი, ადამიანობა, მკაცრად დამდგარიყო დედისა და მეუღლის სიყვარულის დარაჯად“. **ნელი ბოლოქაძე,** ტყიბულიდან.

„მსგავსი ამბავი შეემთხვათ ჩემს მეზობლებს“, იწერება ახალციხის რაიონის სოფელ მუგარეთიდან **თენგიზ ლომიძე.** და კიდევ ბევრია ასეთი წერილი, სადაც ავტორები გულისტკივილით მოგვითხრობენ მსგავს შემთხვევებზე...

„ამ სტატიაში მკითხველი ვერ გაარჩევს, რომელია მტკუანი და რომელი მართალი... მაგრამ მე ყველაზე მეტად ნოდარის მეუღლეს ვადანაშაულებ. ის უნდა მახულიყო დედამთილთან, გამოენახა საერთო ენა“. **გიორგი ჯიოშვილი,** გორიდან.

„ეწერთ დედამთილი ორი რძალისა და დედა ორი შვილისა. 14 წელიწადია ერთ ჭერქვეშ სიამტკბილობით ვცხოვრობთ 11 სული, — იწერება მახარაძიდან პენსიონერი პედაგოგი **ეთერ მდინარაძე.** „ყოველი ახალგაზრდა, ქალი იქნება თუ მამაკაცი, რომელიც ისეთი ხერხიოზულ საქმეს ჰკიდებს ხელს, როგორიც არის დაოჯახება, მორალურად მოვალეა წინასწარ შეობლებს მოეთათბიროს, მიიღოს მათგან კეთილი რჩევა. ისინი ხომ მხოლოდ სიკეთეს უსურვებენ თავიანთ შვილებს, მათთან პირმონილულად შეაბამს თავისი სურვილი და გადაწყვეტილება. ცხოვრების გამოცდილება იმას ადასტურებს, რომ ახალგაზრდებს, რომლებიც ასრულებენ ამ პირობას და ისე ეკიდებიან ოჯახს, უკეთესი მომავალი აქვთ...

განა შეიძლება ეპატიოს შვილს ასეთი უგულობა? ან რა უფლება აქვს ცოლს დაუშალოს შვილს დედის ნახვა და ნუგეში? წერილის ავტორი კი თავისი პოზიციით ყოველივე ამ სისაძაგლეს ამართლებს. ეგ რატომ გამოიწვია ამ წერილმა მკითხველთა გულისწყრომა“. **ნინო გოგოლელაძე,** თბილისი.

„ნოდარის დებმა ერთი წუთით თავი წარმოიდგინონ ნოდარის მეუღლის ადგილზე. რა იქნება, მეუღლეებმა რომ მიატოვონ? რა ვუყოთ, თუ ნოდარის მეუღლეს არა ჰყავს ნათესავები. იგი უფრო კეთილი იქნება ყველას მიმართ. ნოდარი უდანაშაულოა დედის წინაშე“. გვწერს ჭიათურის რაიონის სოფელ მორეგეთიდან **ზაზილო კაკანაძე.**

„მე მომწონს ნოდარის პრინციპულობა, რომ არ უღალატა საყვარელ მეუღლეს, რომ ყოფილა კარგი, მოსიყვარულე მამა. მაგრამ ნოდარმა უნდა მოაბერხოს და გახდეს კარგი შვილიც, დაარწმუნოს დედა, რომ რძალი შვილს კი არ არომევს, უბრალო გაუგებრობა მოხდა მათ შორის. თქვენ შვილი ხართ, ნოდარ, და მეტი უნდა დათმო. **ლოლა ანირანაშვილი,** სამი შვილის დედა, ქუთაისიდან.

„ნოდარის დედამ, იმის ნაცვლად, რომ ობოლი ქალისათვის მშობლიური სიყვარულით გული გაეთბო, ხელი ჰკრა. ცხადია, ნოდარი მართალია, ნუ მოელის დედა ნოდარის დაბრუნებას — ის მარტო არ დაბრუნდება. დაბრუნდება მხოლოდ ცოლ-შვილით და მაშინ იქნებიან ყველანი ბედნიერი“. **მაყვალა ორველაშვილი,** რუსთავიდან.

„შეიძლება ნოდარს მეუღლეს მართლაც შეეშალა რამე, მერე რა მოხდა? ის ხომ უცხო ოჯახში შევიდა? ოჯახში, რომლის, ასე ვთქვათ, ინდივიდუალური ხასიათი და ჩვევა არ იცოდა. განა ამისთვის იგი უნდა დაეგმოთ? პირიქით, **დავით ჩინჩალაძე,** სამტრედიის რაიონი, ინანეთ.

„ნოდარის დედავ! თქვენ რომ გიყვარდათ შვილები, იმიტომ შეალიეთ მათ თქვენნი ჯანმრთელობა და ახალგაზრდობა. დედა ხართ, განგიცდიათ პაწია არსების დაბადებით გამოწვეული დიდი სიხარული. თეთრად გაგითენებიათ ღამეები მათ აკვანთან, უკანასკნელი ლუკმა პური გაგინაწილებიათ მათთვის. ამიტომ საოცარია, რატომ სთხოვთ შვილს ასე დაეინებით ოჯახის დანგრევას, რატომ ცდილობთ ოჯახური სიმშვიდე და სიტკბო წაართვათ მას. რატომ არ ფიქრობთ, რომ გაუბედურდება დედა და ორი პატარა არსება“. **თინა მეჭედლიშვილი,** თბილისიდან.

რედაქციამ მიიღო ხამტრედიის საკონსერვო კომბინატის მუშა-მოსამსახურეთა კოლექტიური წერილი, სავიციეო ქარხნის მეათე საამქროს მუშის **მარინე ლომიძის,** თბილისის სახელმწიფო საესტრადო-საკონცერტო სასწავლებლის პირველი კურსის სტუდენტის **მანანა ფუმბურიძის,** რუსთავიდან **ა. თათარაშვილის,** ქუთაისის სატრაქტორო ქარხნის თანამშრომელთა კოლექტიური და სხვათა გამოხმაურებანი. **მოგვწერეთ** მისამართი, **ჩვენ გავცემთ ნოდარის დედას პასუხს“,** იწერებიან ჭიათურის რაიონის სოფელ ბერეთისაში მცხოვრები **ელენე ნოზაძე** და **თინა ბედინაშვილი.** ამ თხოვნას ბევრი სხვა წერილის ავტორიც იმეორებს.

„...ნოდარის დედავ! თუ შვილის დაბრუნება გინდათ და გინდათ ნამდვილად ბედნიერი იყოთ, ნამდვილი დედობა უნდა გაუწიოთ არა მარტო ნოდარს, მის ცოლს და შვილებსაც — აპატიოთ ის, რაც ახალგაზრდობით ჩაიდინეს. ერთი შვილის მაგივრად ორი შვილი დაგიბრუნდებათ, ორი შვილიშვილი, რომლებიც თქვენთან ერთად ბედნიერი იქნებიან“. **რეზო მაგულიაშვილი,** ბათუმის რაიონის სოფელ ერგეთიდან.

„ნოდარის დედა რომ ამბობს, ორ-ორი ქალიშვილი მპატრონობს, გარს ნათესავები დამტრიალებენო, რა ქნას იმ უთვისტომო ქალმა, რომელსაც ქვეყანაზე არავინ ჰყავს ნოდარის მეტი? რას ჰგავს ნოდარის დედის საქციელი? მას სურს პირად ბედნიერებას ანაცვალოს შვილი, მარტო საკუთარ თავს აამოს. გაიხსენოს „ოთარაანთ ქვრივი“. **ნაზი ლომიძე,** სამი შვილის დედა, თბილისიდან.

„თუ შვილის ბედნიერება გსურთ, შეურიგდით რძალს, მაშინ საშუალება გექნებათ შვილიც გვერდით. გეყვდეთ და დატკბეთ პატარა შვილიშვილების ცქერით. ამაზე დიდი ბედნიერება კი თქვენთვის არ არსებობს“. **ზოთა დიდებაშვილი,** თბილისიდან.

„ბოხეცი დედა ცდება, ძალიან ღრმად ცდებიან ნოდარის დები, როცა ძმას ოჯახის დანგრევისაკენ უბიძგებენ. სამწუხაროდ, ჩვენს სინამდვილეში არაერთია სამწუხარო ფაქტი, როცა ახალგაზრდებს დედამთილ-სიდედრები უკიდია ბეატრიალებენ ხოლმე და საკუთარ შვილებს მომავალს უხშობენ“. **ა. კობაიძე,** დოკენტი, თბილისიდან.

„ნოდარის დედა პატივისცემის ღირსია, მაგრამ დედური სიყვარულის საზღვაურად აუნაზღაურებელი მსხვერპლი არ უნდა მოითხოვოს. **ზაირა მანაშეროვა-მილაძე,** პედაგოგი, თბილისიდან.

„რას იზამდა ნოდარის დედა, მის ქალიშვილებს რომ ახე მოჰქცეოდნენ დედამთილები?“ **შუშანა ზაზაძე,** ადიგენის რაიონი, სოფელ ზანავიდან.

„მეც თქვენსავით ორი ქალიშვილისა და ერთი ვაჟის დედა ვარ. თავი თქვენს ადგილზე წარმოვიდგინე და დავფიქრე. აი რას გთხოვთ და რას გირჩევთ: შეიყვარეთ თქვენი რძალი, გაუწიეთ დედობა. მე ვიტყოდი, თუ ჩემი შვილი მის რჩეულთან თავს ბედნიერად იგრძნობს, მე მეტი რა მინდა შვილების ბედნიერებაზე მაფიქრებელ დედას“. **ნ. კევლიშვილი,** თბილისიდან.

„რა მოარჩენს დედას? დედას მოარჩენს ნოდარის ბავშვების გულში ჩაკვრა, მათი სიახლოვე და სიყვარულის გაღრმავება“. **ხ. ხალვაში,** ბათუმიდან.

„რძალი ნივთი კი არ არის ოჯახში, მოისურვო ოთახის კუთხეში დადგა, მოისურვო სხვენზე აიტანო, მოისურვო სახლიდან გააძევო. ის დედაა, ის მეუღლეა, ის საბჭოთა ქალია და სარგებლობს ყველა იმ უფლებით, რაც ჩვენში ქალს აქვს. სცადეთ, ნუ ჩაკლავთ ყველა ღირსებას მასში. ხელი შეუწყეთ და შვილიც, რძალიც და შვილიშვილებიც თქვენი მსახურნი იქნებიან“. **ლამარა მაღრაძე,** ინჟინერ-მეტალურგი რუსთავიდან, საქალაქო საბჭოს დეპუტატი.

გაზეთ „კომუნისტის“ მკითხველს კიდევ ერთი წერილის ამონაწერი გვინდა გავაცნოთ, რომელიც სამი შვილის დედამ **ჯ. ალაკიშვილმა** გამოგვიგზავნა:

„მთავარი ის კი არ არის, ამ დამოკიდებულებაში დედაა დამნაშავე თუ შვილი — მთავარი ის არის, რომ ასეთი დამოკიდებულებით დაღი დაესვა ერთის მხრივ შრომაში გაჭაღარავებულ, დასნეულებულ დედას, რომელიც ნამდვილად პატივისცემის ღირსია შვილისაგან, მეორე მხრივ ნოდარს, რომელმაც მიატოვა და ჩამორჩა სწავლას, ბავშვებს, რომლებიც ამ ურთიერთობაში ეგოისტებად იზრდებიან და არ ეცოდინებიან არც დედედას, არც მამიდებს სიყვარული“...

— „მთავარი ის კი არ არის, ვინ არის დამნაშავე“ — ამ სიტყვებს სხვა მკითხველების წერილშიც შეხვდებით...

და პასუხიც უპასუხოდ დარჩენილ კითხვაზე სწორედ ამ სიტყვებით გვინდა დავიწყოთ, დასკვნა ისევ მკითხველთა წერილებიდან გამოვიტანოთ:

როდესაც საქმე დედა-შვილის ურთიერთობას ეხება, განა აუცილებელია ბოლომდე ყველა მიზეზის ძიება? რა მნიშვნელობა აქვს, ამ შემთხვევაში ვინ არის დამნაშავე, რადგან თავისებურად შეიძლება ორივე მხარე რაღაცაში მართალი იყოს და მაინც სადღაც ტყუოდეს... მთავარი ის არის, რომ რაც უნდა მოხდეს, დედა-შვილს შორის არ შეიძლება იყოს უმამაყოფილება, გაუგებრობა, გულცივობა... ნოდარმა და დედამ უნდა გამონახონ საერთო ენა. დედამ დედობა უნდა გაუწიოს შვილს, შვილის რჩეულს, შვილიშვილებს, დედამ უნდა დაიჯეროს, რომ მხოლოდ ამ შემთხვევაში იქნება ბედნიერი. აუცილებელია ნოდარი ისევ და ისევ მივიდეს დედასთან, დებთან, დაეხმაროს მათ რძლის კეთილ თვისებათა გაცნობაში. რძალი, მეუღლე რომ უყვარს, ვალდებულია დედამისიც საკუთარ დედასავით უყვარდეს და პატივს სცემდეს.

აი ეს არის მკითხველთა პასუხი უპასუხოდ დარჩენილ კითხვაზე, რომლის დადებითი გადაწყვეტა ამ ოჯახის წევრთათვის მიგვანდია.